



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/5954
09/06/2022

5954-15-3-2-202206091241



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური
დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორ [REDACTED]
[REDACTED] მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული
შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის
შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველს არაერთი პირი მიმართავს სამართალდამცავი
უწყებების თანამშრომელთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევისა და გენერალური
ინსპექციების მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების არაეფექტურობასთან
დაკავშირებით. გახშირებული მომართვიანობის გამო, სამართალდამცავი უწყებების
გენერალური ინსპექციის საქმიანობის ხარისხი ჩვენი შესწავლის საგანი გახდა. აპარატმა
შეისწავლა სამართალდამცავი სტრუქტურების გენერალური ინსპექციების, მათ შორის,
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობის
პროცესი და დადგენილი პროცედურები, გამოავლინა როგორც პრაქტიკული, ისე -
საკანონმდებლო ხასიათის ხარვეზები და გასცა რიგი რეკომენდაციები გამოვლენილი

ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კვლევის შედეგები სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალურ ანგარიშში აისახა.¹

ამჯერად, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების ფაქტი გამოვლინდა.

კერძოდ, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა მოქალაქე [REDACTED] ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, [REDACTED]. იგი მიუთითებდა პოლიციის თანამშრომლის მხრიდან მოქალაქე [REDACTED] მიმართ განხორციელებულ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო მოქმედებებზე, რასთან დაკავშირებითაც ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. მოცემული საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად, ირკვევა, რომ სამსახურებრივი შემოწმების მწარმოებელმა პირმა სრულად არ მოიძია ადვოკატ [REDACTED] მიერ განცხადებაში მითითებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია, რაც სამართალდამცავის მხრიდან შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის დადგენის ან უარყოფის რეალურ შესაძლებლობას მისცემდა.

ფაქტობრივი გარემოებები

ადვოკატ [REDACTED] განმარტებით, რამდენიმე წლის წინ, [REDACTED] შვილი - [REDACTED], ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს. აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე გამომიების ფარგლებში, ხსენებული სამმართველოს ერთ-ერთმა თანამშრომელმა - [REDACTED], [REDACTED] შესთავაზა ფარულად ეთანამშრომლა მასთან და მიეწოდებინა ნარკოტიკულ დანაშაულში ჩაბმული პირების შესახებ ინფორმაცია, რის სანაცვლოდაც, მისი შვილის მიმართ სასჯელის ნაწილში გარკვეული შეღავათის გაწევას დაპირდა. [REDACTED] აღნიშნულ შეთავაზებას უპასუხა.

განმცხადებლის თქმით, 2021 წლის 8 ოქტომბერს, ქ. თბილისში, სოფელ ფონიჭალაში, დაახლოებით 14:00-16:00 საათზე, როდესაც [REDACTED] შვილთან - [REDACTED] ერთად მოძრაობდა საკუთარი ავტომანქანით, გააჩერა ზემოხსენებულმა პოლიციელმა [REDACTED] და ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის მიზნით, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, განახორციელა მისი პირადი და ავტომანქანის ჩხრეკა. მას შემდეგ, რაც ჩხრეკის შედეგად კანონსაწინააღმდეგო ნივთიერება ვერ

¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/201904111214213160.pdf>.

აღმოაჩინა, [REDACTED] გადასცა თავისი ტელეფონის ნომერი და სთხოვა დაკავშირება. ასევე, თავის ავტომანქანაში გასაუბრების მიზნით მიიპატიყა, რაზეც [REDACTED] უარი უთხრა და ამით ინციდენტი ამოიწურა. თუმცა, მომხდარის ფონზე გადატანილი ნერვიულობის გამო, [REDACTED] შვილს - [REDACTED] ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და დახმარებისთვის ექიმს მიმართა. ასევე, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, [REDACTED] საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა.

გარდა ამისა, განცხადებიდან ირკვევა, რომ 2022 წლის 17 თებერვალს, დაახლოებით 14:00-15:00 საათზე, როდესაც [REDACTED] მცირეწლოვან შვილიშვილებთან - [REDACTED] და [REDACTED] ერთად ავტომანქანით მოძრაობდა ქ. რუსთავში, მას ავტომანქანით წამოეწია ხსენებული პოლიციელი [REDACTED] და ანიშნა გაჩერებულიყო. უკანონო ჩხრეკისა და ნარკოტიკული ნივთიერების „ჩადების“ შიშის გამო, [REDACTED] მითითებას არ დაემორჩილა და ავტომობილი არ გააჩერა. აღნიშნულის შემდეგ, მის დევნას [REDACTED] აგრძელებდა. ასევე, სავარაუდოდ, მის დევნაში, სამართალდამცავების კიდევ ერთი ავტომანქანა მონაწილეობდა.

ადვოკატ [REDACTED] განმარტებით, ვინაიდან, სახეზე იყო პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან [REDACTED] მიმართ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

სახალხო დამცველის აპარატის შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა და მოცემულ საქმეზე განხორციელებული რეაგირების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა.²

სამსახურებრივი შემოწმების მასალები

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, [REDACTED] 2022 წლის 22 თებერვლის N544217 განცხადების საფუძველზე ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, გამოიკითხა განცხადებაში მითითებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე, რომელმაც მოქალაქე [REDACTED] და მისი ავტომანქანის დათვალიერების ფაქტი კატეგორიულად უარყო. ასევე, მოხდა სატელეფონო გასაუბრება განცხადებელ [REDACTED], რომელმაც განმარტა, რომ განცხადებაში აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები არ გააჩნია. ასევე, გაანალიზებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ზოგადი ხედვისა და ნომრის ამოცნობის კამერები, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ განცხადებაში დასახელებულ ავტომანქანებს შორის კვეთა 2022 წლის 17 თებერვალს არ დასტურდება. შესაბამისად, დისციპლინური გადაცდომის ჩადენა არ დადასტურდა.³

² სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 10 მარტის N 15-3/2620 წერილი.

³ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 22 მარტის MIA 2 22 00742325 წერილი.

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.

სამსახურებრივი შემოწმება ადვოკატ [REDACTED] განცხადების საფუძველზე დაიწყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი [REDACTED] ტელეფონით დაუკავშირდა [REDACTED], რა დროსაც ამ უკანასკნელმა განმარტა, რომ განცხადებაში მითითებული ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებებს ვერ წარადგენდა.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში განხორციელდა სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ზოგადი ხედვისა და ნომრის ამოცნობის კამერების გაანალიზება, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ განცხადებაში დასახელებულ ავტომანქანებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე [REDACTED] ავტომანქანას შორის კვეთა, 2022 წლის 17 თებერვალს არ დასტურდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელ [REDACTED] ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, რა დროსაც მან უარყო [REDACTED] პრეტენზიები.

სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, [REDACTED] განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტების გადამოწმების მიზნით, სხვა ღონისძიებები არ გატარებულა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ამოცანები, ფუნქციები, კომპეტენცია და მისი საქმიანობის მეთოდები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით.⁴

გენერალური ინსპექციის ძირითად ფუნქციებს განკუთვნება სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, ტერიტორიულ ორგანოებში, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – საქართველოს სასაზღვრო პოლიციაში (შემდგომში – სამინისტროს სისტემა) საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხელელი შესრულების კონტროლი;⁵ სამინისტროს სისტემაში ეთიკის, დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენა და სათანადო რეაგირება;⁶ სამინისტროს მოსამსახურების ინტერესთა

⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 23 თებერვლის N123 ბრძანება.

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 2, პუნქტი „ა“.

⁶ იქვე, პუნქტი „ბ“.

შეუთავსებლობის ფაქტების გამოვლენა, სამსახურებრივი ეთიკის ნორმების შესრულებისთვის კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება.⁷

გენერალური ინსპექციის კომპეტენციაა სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწაყოფების საქმიანობის (მათ შორის, ოპერატიულ-სამძებრო და კონტრდაზვერვითი) შემოწმება არსებული დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის მიზნით;⁸ ეთიკისა და დისციპლინური ნორმების დარღვევის, სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისა და კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენის ფაქტების გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიულ ორგანოების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე მეთვალყურეობის კამერების, აგრეთვე, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამხრე ვიდეოკამერებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამოწაუებული/განთავსებული ვიდეოტექნიკის საშუალებით მიღებული ინფორმაციის დამუშავება;⁹ სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების ხელშემწყობი მიზეზების დადგენისა და პრევენციის მიზნით განხორციელებული შემოწმების პროცესში მოპოვებული მასალების შესწავლა, ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების მინისტრისათვის წარდგენა; სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შესაბამისი დასკვნის ან ცნობის მომზადება.¹⁰

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამრიგად, გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი ██████████, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვალდებული იყო მოცემული სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებისას გულდასმით შეემოწმებინა მოქალაქე ██████████ მიერ დაფიქსირებული პრეტენზიები მისი უფლებების შელახვის შესახებ და მოეპოვებინა ყველა შესაძლო, მათ შორის, ნეიტრალური ინფორმაცია მითითებული ფაქტების შესახებ, რაც არ განხორციელებულა.

კერძოდ, სამსახურებრივი შემოწმების პროცესში შედგა მხოლოდ სატელეფონო გასაუბრება ადვოკატთან, რომელმაც განმარტა, რომ ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებები არ გააჩნდა. ასევე, ახსნა-განმარტება ჩამოერთვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე ██████████, რომელმაც, მოლოდინისამებრ, უარყო მის მიმართ არსებული პრეტენზიები. ასევე, შემოწმდა ██████████ და ██████████ ავტომანქანების შესაძლო კვეთის ფაქტი 2022 წლის 17 თებერვალს, რაც არ დადასტურდა. ინსპექტორი ██████████

⁷ იქვე, პუნქტი „ე“.

⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულება, მუხლი 3, პუნქტი „ბ“.

⁹ იქვე, პუნქტი „ბ²“.

¹⁰ იქვე, პუნქტი „ე“.

აღნიშნულით დაკმაყოფილდა და შემოწმების პროცესში საერთოდ არ დაინტერესებულა [REDACTED] მიერ [REDACTED] პირადი და ავტომანქანის შესაძლო უკანონო ჩხრეკის ფაქტით (2021 წლის 8 ოქტომბრის ეპიზოდი). სამსახურებრივი შემოწმების მასალებით არ დასტურდება არცერთი მოქმედება აღნიშნული ფაქტის ირგვლივ ინფორმაციის მოპოვების მცდელობისთვისაც კი.

მაგალითად, სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში, ინსპექტორ [REDACTED] არ განუხორციელებია შემდეგი ღონისძიებები:

- უშუალოდ არ ჩამოართვა ახსნა-განმარტება თავად [REDACTED] რომელსაც შესაძლოა მიეწოდებინა დამატებით მნიშვნელოვანი დეტალები ფაქტების ირგვლივ და იგი მხოლოდ ადვოკატთან სატელეფონო გასაუბრებით შემოიფარგლა;
- არ შესთავაზა ახსნა-განმარტების მიცემა [REDACTED] შვილს - [REDACTED] რომელსაც შეეძლო ინფორმაციის მიწოდება, მართლაც განხორციელდა თუ არა 2021 წლის 8 ოქტომბერს [REDACTED] პირადი და კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკა;
- არ დაინტერესებულა, ხსენებული ინციდენტის შედეგად გადატანილი ემოციური სტრესის გამო, რომელ სამკურნალო დაწესებულებაში, ვის მიერ და რა სახის სამედიცინო მომსახურება გაეწია [REDACTED] და არ შესთავაზა ამ უკანასკნელს, ნებაყოფლობით წარმოედგინა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია, რითიც, შესაძლოა დადასტურებულიყო [REDACTED] ჯანმრთელობის პრობლემების კავშირი მომხდარ ინციდენტთან;
- არ დაინტერესებულა, 2021 წლის 8 ოქტომბრის ინციდენტს, [REDACTED] გარდა, ჰყავდა თუ არა სხვა თვითმხილველი, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება;
- არ შეუთავაზებია შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურე [REDACTED], ნებაყოფლობით წარმოედგინა მის სარგებლობაში არსებული ტელეფონის ნომრის მომსახურე მობილური ოპერატორი კომპანიიდან მისი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია (ე. წ. ანძების ამონაწერი), რაც დაადასტურებდა ან უარყოფდა [REDACTED] ყოფნას სამსახურებრივი შემოწმებისთვის საინტერესო დროს და ადგილას.

ყველა შესაძლო, მათ შოროს, ნეიტრალური ინფორმაციის მოპოვების გარეშე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება, ბუნებრივია, არაეფექტიანია და განხორციელებული რეაგირება ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

ამრიგად, როდესაც მოქალაქე მიუთითებს მისი უფლებების შელახვის ფაქტზე და სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ხდება ყველა შესაძლო ინფორმაციის მოპოვება და მოქალაქის პრეტენზიის საფუძვლიანი გადამოწმება, ბუნებრივია, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმება ვერ მიიჩნევა ობიექტურ და სრულყოფილ რეაგირებად ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტებზე. მსგავსი სახით სამსახურებრივი შემოწმების ჩატარება ვერ იქნება ორიენტირებული მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და

ხელს ვერ შეუწყობს უწყების ამოცანების ეფექტიან შესრულებასა და მის მიმართ საზოგადოებაში ნდობის გაზრდას.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორმა, [REDACTED] სამსახურებრივი შემოწმება ჩატარა არასრულყოფილად, რითიც, მასზე კანონით დაკისრებული მოვალეობა არაჯეროვნად შეასრულა. კერძოდ, მან სამსახურებრივი შემოწმების პროცესში არ ამოწურა ყველა შესაძლებლობა, მოქმოვებინა ინფორმაცია [REDACTED] მიერ დაფიქსირებული ფაქტების გადამოწმების მიზნით, რამაც ხელი შეუშალა განმცხადებლის უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების შესწავლასა და გამოვლენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით:

1. დაიწყოთ დისციპლინური საქმისწარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დისციპლინური დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორ [REDACTED] მიმართ;
2. განაახლოთ სამსახურებრივი შემოწმება [REDACTED] უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტზე და ჩატაროთ იმგვარად, რომ მოპოვებულ იქნას ამოწურავი ინფორმაცია ფაქტის ირგვლივ.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

